პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 23 ოქტომბერი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

წითელი არმიელი

(939) 241 | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქ. მისამართი: ტფ. ალექსანდროვის ქუჩა ელმენი 2—24. განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომ. 3. სტრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმართლე მუშურ-გლეხურ საბჭოთა რესპუბლიკის შესახებ.

გუშინ, ჩვენს დიდ ქალაქს ეწვია ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაცია. დღე არ არის, რომ რადიომ ცნობა არ მოგვიტანოს სხვა და სხვა ქვეყნიდან ყოველგვარ პროფესიის მუშათა დელეგაციების საბჭოთა კავშირში გამომგზავრების ან უკვე ჩამოსვლის შესახებ.

რით აიხსნება ასეთი ლტოლვა მუშათა პირველ რესპუბლიკისაკენ? საბჭოთა კავშირი ბურჟუაზიულ ქვეყნებთაა გარშემორტყმული. ოქტომბრის რევოლიუციის პირველ დღისთანავე მსოფლიო ბურჟუაზია ყოველმხრიდან გვებრძვის ჩვენ ყოველივე საშუალებით ფარულად ან აშკარად. ამ საშუალებათა შორის საუკეთესო იარაღია ბეჭდვითი სიტყვა, რომელიც იქ სავსებით ბურჟუაზიის ხელშია. მაგრამ ევროპის დიდ სახელმწიფოებში, როგორც ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია, მუშათა კლასი პოლიტიკურად საკმაოდ მომწიფებულია და მის თანხმობის გარეშე რაიმე დიდი ნაბიჯის გადადგმა შეუძლებელია. და რაც არ უნდა სწერონ ჩვენზე ბურჟუაზიულ გაზეთებმა, სიმართლე საბჭოთა კავშირზე მაინც აღწევს მათდამი. და აქ, ბურჟუაზიას უდიდეს სამსახურს უწევს მისი ერთგული მონა—სოციალ-დემოკრატია.

სოციალ-დემოკრატიული გაზეთები უფრო მეტ ჰორრებს და პროვაკაციას აკეთებენ, ჩვენზე ვიდრე ბურჟუაზიული პრესა.

ესენი ყველაზე უფრო მოწდომებული არიან ევროპის მუშათა კლასის საზოგადოებრივი აზრი ჩვენს წინააღმდეგ მომართონ. მაგრამ მათი ცდები ყოველთვის მათ სამარცხვინოდ თავდება. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის გმირული ბრძოლის შესახებ უკვე იციან საზღვარს იქით მყოფ ჩვენმა მოძმე პროლეტარებმა. მათ არ სჯერათ თავიანთ ბელადების და გაზეთების. რამდენიც არ ურჩიეს და ბოლოს კიდევაც დამუქრენ გერმანიის მუშა—სოციალ-დემოკრატებს, პარტიის ბელადებმა და მათმა გაზეთმა „ფორვერტსმა“, საბჭოთა კავშირში ნუ წახვალთ, ჩვენს ცნობებს ენდეთითო, ისინი მაინც გამომგზავრენ ჩვენსკენ. და ის სიმართლე ჩვენზე, რომელიც ამათმა თავიანთ სამშობლოში წაიღეს, ძირიანად ეწინააღმდეგებოდა იმას, რასაც სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ბელადები და გაზეთები მოუთხრობდენ ჩვენზე. მუშური დელეგაციები ბოლოს ეღებს იმ ჰორრებს და ცილისწამებას, რომელსაც საერთაშორისო ბურჟუაზია ავრცელებს ჩვენზე. ევროპის მუშათა კლასის თანაგრძნობა და სოლიდარობა ჩვენდამი დღითი დღე იზრდება და რაც არ უნდა ეცადოს ინგლისის თუ საფრანგეთის იმპერიალიზმი ჩვენს წინააღმდეგ, ეს ცდები კვლავ, როგორც მრავალჯერ ყნენთ, მათ სამარცხვინოთ დასრულდება, რადგან მათ წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენთან იქნება ინგლის, საფრანგეთის და მსოფლიო პროლეტარიატი.

X.

ისევ შეღავათების შესახებ

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ხშირად შეეხებიავართ, ადგ. საბჭოთა და სხვა ორგანიზაციის მიერ, წითელ არმიელებსა და უფ-პოლიტშემადგენლობისათვის მინიჭებული შეღავათების გაუტარებლობის საკითხს.

წითელი არმიის აღმშენებლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მის რიგებში მყოფ პირთა შეღავათების გადაუხრელად და მთლიანად გატარებას. ამასთანავე ერთად ოჯახს მოცილებული წითელი არმიელი ძლიერ დაინტერესებულია ამ საკითხით და ამიტომაა, რომ ის უპირველეს ყოვლისა, გაზეთისა და წიგნის ფურცლებზე კითხულობს სწორედ ამ შეღავათების შესახებ.

უნდა ითქვას რომ, ამ საკითხის გატარებას ადგ. ორგანოები დღემდე ჯერ კიდევ არ აქცევენ სათანადო ყურადღებას და ბევრგან ამ ნიადაგზე ადგილი აქვს უკმაყოფილებას წითელ არმიელთა შორის.

დღეს ამის შესახებ ჩვენს გაზეთში იბეჭდება კიდევ ერთი საყურადღებო კორესპონდენცია ცხენოსან ლეგიონიდან ერთ-ერთი წითელ არმიელის. კორესპონდენტი სწერს, რომ მისი თემის აღმასკომი (ქუთ. მაზრაში), მისი ოჯახის შრომის უნარ მოკლებულ წევრს—მამას 70 წლისას, უკანონოდ ახდევინებს სხვა და სხვა გადასახადებს, გაყავთ საზოგადო საშუშაოებზე, როგორიც არის გზების გასაკეთებლად და სხვ. წითელი არმიელი—წერილის დამწერი მოითხოვს, რომ ამ მოვლენას მიეკეცეს სათანადო ყურადღება ვისგანაც ჯერ არს და გაავრცელონ შეღავათები მის ოჯახზე.

უდავოა, რომ მსგავსი მაგალითები სხვგანაც იქნება.

საჭიროა ამ მოვლენას მიაქციონ სერიოზული ყურადღება ჩვენი ნაწილების მესვეურებმა და სამოქალაქო ორგანოებმაც, რომ ამით ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს უკმაყოფილებას და გაუკბრობას ამ დარგში.

წითელ არმიის ნაწილებიდან უვადო შვებულებაში წასულებმაც არ უნდა დავიწყონ ეს საკითხი და ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყონ სათანადო ორგანოებს ამ შეღავათების გადაუხრელად გატარების საქმეში.

ამ საკითხის სათანადოთ მოგვრა აუცილებელია, მით უმეტეს დღეს, როცა მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა ახალწვეულები რამოდენიმე დღის შემდეგ გამოეშურებიან წითელი არმიისაკენ.

ახალი რადიო-ამბები

საბჭოთა კავშირის და ბურჟუაზიულ ქვეყნების ურთიერთობა.

დასავლეთ სახელმწიფოები სცდილობენ საბჭოთა კავშირთან დაახლოებას.

რადიოს საგაზეთოს ცნობით ჩიჩერინმა გამოსთქვა სურვილი ინახულოს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბრიანი და ამ მიზნით ის მალე ჩავა პარიზში (საფრანგეთის დედაქალაქი).

ბრიანმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ დასავლეთ სახელმწიფოებთან დაახლოება დამოკიდებულია თვით საბჭოთა კავშირისაგან და რომ ის თავის მხრივ ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირს ამ დაახლოების საქმეში.

ყველა ეს ცნობები შეიძლება განვიხილოთ როგორც არა პირდაპირი მიწვევა საბჭოთა კავშირისა დაუახლოვდეს დასავლეთ სახელმწიფოებსა და ერთა ლიგას.

საბჭოთა ტელეგრაფის საგაზეთო ბიუროს, თითქოს ჩიჩერინს განზრახული ჰქონდეს პარიზში ჩასვლა.

ინგლისელი მინისტრი „მოსკოვის პოლიტიკაზე“

ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა ხიუსმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც სთქვა რომ უკანასკნელთან უცხოელების მხრივ ძლიერ გაძლიერდა ცდა ინგლისის პროფკავშირების უცხოეთის სახელმწიფოსთვის დამორჩილების შესახებ. —მოსკოვის საბჭოთა მთავრობა—ამბობდა იგი, აწარმოებს ჩვენს წინააღმდეგ ციბერ პოლიტიკას, მთელი მსოფლიოს მასშტაბით. აღნიშნული პოლიტიკა მიმართულია ინგლისის პროფკავშირების საბჭოთა მთავრობის დამორჩილებისაკენ.

დასასრულ ხუსმა იმედი გამოსთქვა, რომ საბჭოთა მთავრობის ეს ცდა არ დასრულდება გამარჯვებითო.

პრეზიდენტ ვოიცეხოვსკის მოკვლის განმზრახველი.

სტუდენტი ოლშანსკი, რომელსაც ბრალდება პოლონეთის პრეზიდენტის ვოიცეხოვსკის მოკვლის განზრახვა, ამ ამბად იმყოფება გერმანიაში. ოლშანსკის განაცხადეთია, რომ ის ამ საქმეში მოქმედებდა უკრაინის სამხედრო ორგანიზაციის დავალებით.

შეტევა ინგლისის მუშათა კლასზე.

ინგლისის კომუნისტების ახალი დაპატიმრება.

ინგლისში გრძელდება კომუნისტების დაპატიმრება. პოლიციამ დაპატიმრა მაკ—მანუსი და კომპარტიის ცეკას პოლიტბიუროს წევრი მერფი.

იტყობინებიან, რომ დაპატიმრება მოხდა მასალების პოვნის გამო, რომელიც აღმოაჩინეს პოლიციელებმა ცენტრალური კომიტეტის მინის გაჩხრეკის დროს.

წერილის მოთავსებისთვის კომუნისტების დაპატიმრების შესახებ.

ლონდონის სასამართლომ პასუხისგებაში მისცა გაზ. „ივნინგ ნიუზის“ რედაქტორი, რომელმაც მოათავსა წერილი გაზეთში კომუნისტების დაპატიმრებასთან დაკავშირებით.

ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაციის ჩამოსვლის გამო ტფილისში.



დელეგაციის თავმჯდომარე კმენტი.

რეპრესიები ვერ აშინებთ

სამხრეთ უელსში შაბათს შესდგა კომპარტიის წევრთა დიდი მიტინგი. მრავალი კომუნისტები იძულებული შეიქმნენ დიდი მანძილი გაეგლოთ უგზო უკვლო ხევებით, რომ შენიშნულ არ ყოფილიყვნენ პოლიციელებისაგან. კრებამ დადგინა განაგრძოს მუშაობა გაორკეცებული ენერგიით.

ლონდონის ახარეში ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში მოხდა კომპარტიის ადგილობრივ ორგანიზაციების მთელი რიგი მიტინგები, რომლებიც დიდი აღტაცებით იქნენ ჩატარებული.

მუშათა პარტიის გაზეთები, პარტიის ადგილობრივ განყოფილებებისა და პროფკავშირთა საბჭოებისაგან დებულობენ პროტესტებს კომპარტიის დევნის გამო, მაგრამ ვერ აქვეყნებენ, იმ კანონის გამო, რომლითაც აკრძალულია სასამართლოს გადაწყვეტილ საკითხებზე, პრესაში ლაპარაკი.

„უცნობი რუსები“ ანუ ბურჟუაზიის პროვოკაცია.

ინგლისის საბამოს გაზეთები ავრცელებენ ხმებს საბჭოთა კავშირის აგიტაციის შესახებ. ერთი გაზეთი სწერს, რომ „ვიღაც რუსი აგენტი ინგლისის ერთ ნავთსადგურში გაეცა ინგლისის მოხელეთა კანტროლს და თავიდან იციცილა დაპატიმრება“. მის ბარგში აღმოჩენილ რევოლიუციონური ლიტერატურა და წითელი დროშები რევოლიუციონური ლოზუნგებით.

გაზეთები იტყობინებიან აგრეთვე, რომ ერთი „ცნობილი რუსი აგენტი“ გაძევებულ იქნა დღეს თავის ოჯახით ინგლისიდან. დაპატიმრეს აგრეთვე „ერთი ცნობილი წითელი აგენტი“, რომელიც იმყოფება ამ ჟამად ლონდონის პოლიციაში.

კომუნისტობისათვის.

საფრანგეთის მთავრობამ გადაყვანა პარიზის განპირა უბნის მერი, მხოლოთ იმიტომ, რომ მან, როგორც კომუნისტმა მონაწილეობა მიიღო საერთო მანიფესტაციაში.

გერმანიის პრესა საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შესახებ

შტრეზემანის მომხრე გაზეთი სწერს, რომ გერმანიის სამეფურნეო წრეებში უკვე მომწიფდა საბჭოთა კავშირთან საჭარო ურთიერთობის განმტკიცების მიზნით მსხვილ საჭარო საზოგადოებათა შექმნის საკითხი.

მეორე გაზეთი „კელნიშე ცეიტუნგი“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა სახელმწიფოს შინაგანი წყობილება ხელს უწყობს დასავლეთშიაც განხორციელდეს დიდი სოციალური იდეებიო.

გერმანიის ნაციონალისტები ლოკარნოს შეთანხმების წინააღმდეგ.

გერმანიის ნაციონალისტების ჰამბურგის, ლიუბეკისა და ბრემენის ორგანიზაციებმა გამოსთქვეს აზრი ლოკარნოში დადებულ შეთანხმებათა წინააღმდეგ.

მთავრობის გაზეთები გამოსთქვამენ რწმენას, რომ ბოლოს და ბოლოს ნაციონალისტები გამოსთქვამენ აზრს ხელშეკრულებათა დამტკიცების სასარგებლოდ.

პოლონეთის მთავრობა არ გადადგება.

პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ გადასწყვიტა არ ჩაუდგეს ოპოზიციაში მთავრობას ჯერ-ჯერობით.

ამასთან დაკავშირებით გრაბსკის მთავრობის გადადგომა არაა მოსალოდნელი.

საბჭოთა კავშირი

პრესის მოიმუშავეთა თათბირი.

21 ოქტომბერს მუშათა და სოფლის კორესპონდენტთა მოძრაობის შესახებ მოხსენება გაიკეთა რაფფაილმა. მან აღნიშნა, რომ პარტიის მე-13 ყრილობისთვის მუშკორთა რიცხვი უდრიდა 15 ათასს, ეხლა კი მომავალ ყრილობისთვის მათი რიცხვი უახლოვდება 200,000. მარტო მოსკოვის გუბერნიაში ითვლება 4 ათასი მუშკორი.

მომხსენებელმა აღნიშნა მუშათა და სოფლკორთა მოძრაობის საქმეში პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების საჭიროება. მუშკორთა მოძრაობა ჯერ კიდევ ვერაა საკმაოდ შესწავლილი. ადგილობრივ გაზეთებმა არ იციან თავიანთ სოფლკორთა შემადგენლობა. საჭიროა პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერება კორესპონდენტთა მოძრაობაზე, რათა მან ხელი შეუწყოს სახელმწიფო აპარატის გაძლიერებას.

საკრედიტო ვადები წვრილ ხელოსნებისთვის

შინაგაჭრობის სახალხო კომისარიატმა წარადგინა შრომისა და თავდაცვის საბჭოში გეგმა წვრილ ხელოსანთა კრედიტის (ნისია) შესახებ მრეწველობის საქონელზე.

კრედიტის ვადებად გათვალისწინებულია: შავ ლითონის საქონლებზე—6 თვე, ფერად ლითონზე—4 თვე, ნართაზე—4 თვე, ტყავეულობაზე—4 თვე და სხვა.

ამჟამად მუშავდება საკითხი საქონლის რაოდენობაზე, რომელიც საჭიროა გაეცემულ იქნას წვრილ ხელოსნებისათვის.

საქართველოში.

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲨᲘ.

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲣᲓᲠᲘᲡ 6.915 ᲙᲐᲪᲘᲡ; ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ 5.711 ᲙᲐᲪᲘ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ 436 ᲥᲐᲚᲘ. ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲓᲐ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲛᲔᲢ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲣᲒᲠᲔᲑᲜᲔᲡ.

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲜᲐᲮᲕᲔᲠᲨᲘ ᲡᲛᲣᲨᲐᲝᲖᲔ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚ ᲘᲥᲜᲐ 237 ᲙᲐᲪᲘ.

საექიმო დახმარება.

ჯანმრთელობის დაცვის ოზურგეთის განყოფილების ცნობით უკანასკნელ 9 თვის განმავლობაში საექიმო და საფერშლო წერტილების მიერ მიღებულ იქნა სულ 23.366 ავადმყოფი.

ამათგან 79 პროც. ციებ-ცხელებიანია.

მაისიდან 1-ლ ოქტომბრამდე ჯანმრთელობის განყოფილებამ დაურიცა მოსახლეობას დაახლოებით 50 გირვანქა ქინაქინა.

ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲚᲣᲠ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ ᲨᲔᲞᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ.

საერთო ტერიტორიალური შეკრება დამთავრდა. ნაწილები უკვე გავიდენ თავთავიანთ წერტილებზე და შეუდგენ მუშაობას. ჩვენი ნაწილების წინაშე ეხლა უფრო სერიოზული ამოცანები არის წამოჭრილი, ვინემ ეს იყო წერტილებზე პირველად გასვლის დროს, მაგრამ მათი გადაჭრა უადვილდებათ მით, რომ ახლა უფრო მეტი გამოცდილება აქვთ მათ.

კონკრეტიულად ნაწილების ამოცანები წერტილებზე გასვლის შემდეგ გამოიხატება შემდეგ მოსახლეობათა შორის. 1. მუშაობა ცვალებადთა და 2. კავშირის განმტკიცება სამოქალაქო ორგანიზაციებთან. 3. მწვავემდელთა მომზადება. 4. ახალწვეულების მიღება და 5. მუშაობა ძარიდში.

ეი ის ძირითადი და პირველ ხარისხოვანი ამოცანები, რომელიც წამოჭრილია ჩვენს წინაშე წინამდებარე საგეგმო პერიოდში.

გავარჩიოთ თითეული ამოცანათაგანი ცალ-ცალკე:

1. მუშაობა ცვალებადელთა და მოსახლეობათა შორის. ვისაც ცოტათი მაინც აქვს წარმოდგენილი ტერიტორიალური მშენებლობა იმისათვის აშკარაა, რომ ტერ-ნაწილებში მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილი უნდა იყოს ცვალებადელთა ფართო მასაში შეკრებათა შორის. თუ შეკრებათა შორის კარგათ არის დაყენებული მუშაობა, ამაზედ არის დამოკიდებული ნაწილის ბრძოლის უნარიანობა, ავტორიტეტი მოსახლეობათა შორის და შეკრების უმტკივნეულოდ ჩატარება. ცვალებადელთა შორის ეუშაობის ფორმებათ ჩვენ ვსთვლით: შეკრებათა შორის რწმუნებულების მუშაობას, ცვალებადელთა კონფერენციებს, ტეკორების ქსელის გაშლას და საკლუბო მუშაობის ფართო ცვალებადელთა მასაში გადატანას.

ეხლანდ დამთავრებულ შეკრებაზე გადახედ ისებული იქნა რწმუნებულთა შემადგენლობა. ვფიქრობთ, რომ კარგი ხელმძღვანელობის ქვეშ ახლად გამოყოფილი რწმუნებულები შესძლებენ მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას. ამოცანები, რომელსაც ჩვენ მიზნით უსახავთ რწმუნებულებს, მდგომარეობს შემდეგში: პირველი მიზიდვა ცვალებადელებისა სოფლის მშენებლობითი მუშაობაში. დაუშვად, რომ სოფელში გასაკეთებელი გზა, ან ასაგები ხიდი, საქმე რომელიც არ მოითხოვს ძალიან დიდ თანხებს, საჭიროა მხოლოდ ინიციატორთა ჯგუფი, რომ საქმე წამოიწყონ. სწორედ ამ ინიციატორთა ჯგუფში პირველათ ყოვლისა უნდა მიდიოდეს ცვალებადელი და ყოფილი წითელარმიელები რწმუნებულების საშვალებით. ამით ჩვენ მივალწევთ ორ მიზანს: ერთი რომ ტერ-ნაწილების ავტორიტეტი აიწევს გლეხობის თვალში და, მეორედ, ის რომ სოფლის ეკონომიური ცხოვრება წინ წაიწევს. მეორე, შეჩვ ვ ცვალებადელებისა კოლექტიურ ცხოვრებაზე, როგორიცაა კომუნები და სხვა. მხოლოდ ის არ უნდა განსაზღვრებოდეს მარტო ჩვენი ცვალებადელებით, არამედ მასში ჩართეული უნდა იქნეს სოფლის ახალგაზრდობაც. მესამე, კულტურული მუშაობის წარმოება ცვალებადელებში. მიზიდვა ქოხ-სამკითხველოებში, კოლექტიურად გაზეთების გამოწერა და მისი ხმა მაღალი კითხვა გლეხობაში, წრეების ჩამოყალიბება ტერ-ნაწილის კლუბის ხელმძღვანელობის ქვეშ და სხვა. მეოთხეც, სოფლის საბჭოებში ჩვენი ცვალებადელების ენერგიით სიცოცხლის შეტანა; ცვალებადელები რწმუნებულების საშვალებით უნდა იყვნენ აქტიური გმტკიცებელი სოფლის საბჭოების დადგენილებებისა და აგრეთვე საბჭოს წინაშე აყენებდენ სოფლის სტრიბოორტო საკითხებს. მეხუთე, მეექვსე კავშირის დაპერა რწმუნებულების საშვალეთით ცვალებად და ძირეულ შემადგენლობის შორის.

უნდა შევეცადოთ, რომ ყოველგვარი დღესასწაულები ძირულ შემადგენლობაში ტარდებოდეს ცვალებადელთა თანდასწრებით.

ყოველივე ამ საკითხების გადაჭრას, რომელიც წამოჭრილია რწმუნებულების წინაშე და ამასთან დაკავშირებით ჩვენი ნაწილების წინაშეც, მაშინ შეეძლებთ, როდესაც მეექვსე კავშირი დამყარდება ნაწილის ხელმძღვანელ ორგანოებსა და რწმუნებულებს შორის.

ნ. ᲑᲚᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

(გაგრძელება იქნება).

სამხედრო საქმე

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲔᲐᲠᲫᲝᲚᲝ ᲰᲐᲔᲠᲘᲡ ᲛᲢᲔᲠᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ.

ᲰᲐᲔᲠᲘᲡ ᲛᲢᲔᲠᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲝᲯᲔᲗᲘᲡᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲤᲚᲝᲢᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲯᲐᲠᲔᲑᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲝᲗ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲡᲐᲯᲣᲗᲝᲠᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ.

ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲜᲗᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲝᲗ ᲔᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ, ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲪᲝᲪᲔᲑᲓᲘᲗ ᲠᲐ ᲐᲛᲘᲪᲐᲜᲔᲑᲘ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲰᲐᲔᲠᲘᲡ ᲛᲢᲔᲠᲘ. ᲔᲡ ᲐᲛᲘᲪᲐᲜᲔᲑᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲖᲔ, ᲛᲝᲗᲐᲗᲘᲡᲔᲑᲘᲗ ᲗᲕᲐᲚᲗᲕᲐᲚᲨᲘ, ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲔᲗ. ᲘᲗᲥᲕᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲓᲐᲮᲐᲠᲐᲚᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲰᲐᲔᲠᲘᲡ ᲛᲢᲔᲠᲘᲡᲒᲐᲜ. ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲠᲬᲣᲧᲝ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲜᲓᲔᲓᲘᲗ ᲘᲡᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲢᲔᲠᲡ ᲐᲠᲐᲝᲤᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲫᲚᲝᲡ, ᲛᲮᲚᲝᲚ ᲗᲣ ᲮᲔᲓᲐᲕᲡ, ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ ᲐᲠ ᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲛᲐᲡ ᲡᲯᲘᲠᲓᲔᲑᲐ.

ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲗᲐ ᲓᲐᲰᲤᲐᲠᲛ ᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ, ᲚᲝᲒᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗ ᲚᲝᲛᲘᲗ, ᲜᲘᲡᲚᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲪᲠᲣᲑᲔᲚᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲠᲘᲡ ᲛᲢᲔᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲰᲐᲔᲠᲘᲡ ᲛᲢᲔᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲔᲓᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ—ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲨᲔᲜᲘᲚᲓᲒᲐ. ᲯᲐᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲨᲘᲪ ᲘᲪᲘᲐᲜ ᲨᲔᲜᲘᲚᲓᲒᲐ. ᲠᲝᲛᲝᲡᲐᲗᲜᲐᲚ, ᲘᲪᲘᲐᲜ ᲨᲔᲜᲘᲚᲓᲒᲐ. ᲠᲝᲛᲝᲡᲐᲗᲜᲐᲚ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲡᲔᲗᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲗ ᲛᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲣᲧᲕᲐᲜᲐ—ᲐᲡᲔᲗᲘ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲮᲐᲠᲐᲚᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲰᲐᲔᲠᲘᲡ ᲛᲢᲠᲘᲡᲒᲐᲜ. ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲠᲬᲣᲧᲝ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲜᲓᲔᲓᲘᲗ ᲘᲡᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲢᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲫᲚᲝᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲐᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲝᲛᲒᲝᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲬᲘᲗ ᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲓᲐᲯᲓᲔᲑᲐ. ᲗᲕᲐᲚᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗ ᲰᲐᲔᲠᲝᲞᲚᲐᲜᲔᲑᲘᲡ (ᲛᲘᲬᲘᲗᲐᲜᲐᲠᲗᲐᲜ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲝᲛᲒᲝᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲔᲓᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ—ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲨᲔᲜᲘᲚᲓᲒᲐ. ᲯᲐᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲨᲘᲪ ᲘᲪᲘᲐᲜ ᲨᲔᲜᲘᲚᲓᲒᲐ. ᲠᲝᲛᲝᲡᲐᲗᲜᲐᲚ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲡᲔᲗᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲗ ᲛᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲣᲧᲕᲐᲜᲐ—ᲐᲡᲔᲗᲘ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲮᲐᲠᲐᲚᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲰᲐᲔᲠᲘᲡ ᲛᲢᲠᲘᲡᲒᲐᲜ. ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲠᲬᲣᲧᲝ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲜᲓᲔᲓᲘᲗ ᲘᲡᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲢᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲫᲚᲝᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲐᲡ

ჩვენი ნაწილების საზამთრო მუშაობა.

შევეგებოთ...

მოდიან, ახალგაზრდა
ამხ.ნაგები ჩვენი,
რომლებთანაც, სიამით,
უნდა ვატაროთ დღენი.

—

დავკრათ მუსიკასა და
ავფრიალოთ დროშა,
მეგ.დრო რკინის რიგებით
მოგვადგებიან როცა.

—

ყაზარმები ამ დღისთვის
იყოს წითლად ქარგული;
ხმა ტაბილი სიმღერებით
გადავუშალოთ გული.

—

მხედრულ, ამაყ ყიჟინით,
მძლავრად გავშალოთ მკლავნი
მზეს მივცეთ სალამი და
გავახროთ ვარსკვლავნი.

—

სიყვარულით დავფინოთ,
მათ წინ, ვარდნ., იანი;
რომ შეხვედრას მიეცეს
ფერი თავაზიანი.

მუშა-გლეხთა შვილები
მოდიან სამღერითა;
და ჩვენც დაუხვდეთ გულის
ალმოდებულ ძკერითა.

—

რათა უკეკ შეგვცვალონ,
მოდიან ჩვენი ძმები;
აბა, მოისმის შორით,
მათი მძლეველი ხმები.

—

მსოფლიო კაპიტალიზმს
დე, აუტყდეს ციება;
ჩვენ მზად ვართ დავატეხოთ:
რისხვა, შურისძიება.

—

ყველა იმ ვაებისთვის,
რაც მან მშრომელთ აგება;
ეხლა ჩვენს წითელ ხიშტზე
მოუხდება აგება.

—

ყაზარმებში მოველით,
ახლებს, ქოჩორ ავარცხნით;
ო, ჰა... აგერ, მოდიან..
—სიხენ! სალამი მარცხნით!

ხ. ე.

ჩვენი ცხოვრებიდან.

მე-3 ლეგიონი.

ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენმა ლეგიონის ნაწილებმა როგორც იქნა მოიყარეს თავი ერთ შენობაში. ბანაკიდან ჩამოსვლის შემდეგ ეს აქამდე ვერ მოხერხდა და ძლიერ გვიშლიდა ხელს მეცადინეობის წარმოებაში. განსაკუთრებით ფერხდებოდა საკლუბო მუშაობა. ასეულებში ეწყობა ლენინის კუთხეები, რომლის საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ, როგორც წითელ არმიელები, ისე უფროლიტშემადგენლობა.

10 ოქტომბერს საკლუბოსაბჭოსთან ერთად მოწვეული იქნა წრეების ხელმძღვანელთა თათბირი, სადაც გაირჩა ოქტომბრის განმავლობაში სამუშაო გეგმა. თათბირზე გადაწყდა კვლავ აღდგენილ.ნ.ა წრეები, რომლებმაც შესწყვიტეს მუშაობა წითელ არმიელების გრძელ ვადიან შვებულებაში წასვლის შემდეგ. იმედი გვაქვს, რომ ასეთი გამოცოცხლებული მუშაობით ჩქარა მივაღწევთ და შევასრულებთ იმას, რაც აუცილებელია ჩვენი წითელი ყაზარმისათვის.

კენჭაძე.

სამხ. გაერთ. მეთაურთა სკოლის ირგვლივ.

ცუდ ადგილას მდებარეობს ეს სკოლა. ზაფხულობით აქ ნამეტანი სიცხეა და კოლოფიც ბლომად იცის.

შემოდგომაზე საშინელი ქარი, მტვერი და სიცივე იწყება. ადგილობრივი მცხოვრებლები მეტად ანტი—სანიტარულად ინახავენ სკოლის მიდამოებს.

შარა-გზაც სავსეა ტალახებული გუბეებით და ნაგაზი ძალლებით. აქ სიარული ღამ-ღამობით მაინც (უსინათლოების გამო) მეტად საშიშია.

ამაზე იყო წერილი ჩვენს გაზეთში, მაგრამ კომუნალურ განყოფილებას, ალბად არც წაუკითხავს.

სკოლის წინ ხევის სიმაგრე ნიადვარს დაუმცავია და თუ კვლავ არ შეკეთდა შარა-გზას დიდათ დააზარალებს..

სკოლის წინ რამოდენიმე დუქანია—სადაც მეწვრილმანე ჩარჩები „ტყავს ანძობენ“ სკოლის თანამშრომლებს და კურსანტებს. არის წინააღმდეგი შემთხვევაც, როდესაც ჩვენს ამხანაგებს უჩივიან—ფული შეგვეჭამეს-ო.

არც ერთი შემთხვევა არაა—სასურველი. რომ ასე არ გაგრძელდეს, სკოლის კოოპერატივმა შეძლებისდაგვარად ნდობა უნდა გაუწიოს სკოლის თანამშრომლებს და კურსანტებს.

ავადყოფ კურსანტს ხშირად ურჩევენ ქსენონში დაწოლას. სწავლა კი მთელის სიმწვავით მიმდინარეობს.

— ამხანაგო ექიმო, რამე საშუალება გამოვნახოთ რომ არ დავწვეს, ეხლა დაწოლა უბედურებაა.

ამბობენ კურსანტები. სწავლაზე მოცდენა ძლიერ ეზარებათ.

სკოლის კლუბიც ჯერ მოუწყობელია, საჭიროა დაჩქარდეს მისი შეკეთებაც.

კლუბთან არსებული წრეები (სიბჭორთა წრის გარდა) უკვე ამუშავდენ. ლენინის კუთხეებს კი შეგვიანდათ ამოძრავება.

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს კლუბს და მისი მუშაობის გაუმჯობესებას.

ამ მუშაობას უფროლიტ შემადგენლობის მეტი აქტიობა სჭირია.

კლუბის უფროსმა ამასაც უნდა მიაქციოს ყურადღება.

სამხკორი ხ. განი

წითელ არმიელების წერილებიდან.

საერთო გრძანებას არ ასრულებენ.

ყველამ იცის როგორი შეღავათებით სარგებლობს წითელარმიელის ოჯახი და ისეთი მაინც, რომელიც მოკლებულია შრომის უნარის მქონე ოჯახის წევრს. მიუხედავად ამისა, ჩემს ოჯახს (ვსახურობ ცხენოსან ლეგიონში), რომელიც იმყოფება სამტრედიის რაიონში (ს. დიდი ჯიხაიში) არა თუ შეღავათები, არამედ ადგილობრივი აღმასკომის თავმჯდომარეს ჩემი 70 წ. შრომის უნარ დაკარგული მოხუცი მამა ძალით გაყავს გზებზე სამუშაოთ. ჩემს ოჯ.ხში მოხუცი მამისა და ერთი მცირე წლოვანი დის მეტი არავინ იმყოფება. არც გადასახადებში გვაქვს რაიმე შეღავათი, რაც უკიდურეს მდგომარეობაში აყენებს ჩემს ისედაც ღარიბ ოჯახს. არა გვყავს არც ხარები, რომ მოვიწოთ ჭირნახული და დახმარების მაგიერ ასე ეკიდებიან მას. დროა ყურადღება მიექცეს ასეთ პირებს, რომლებიც სახელს უტეხენ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას მშრომელი ხალ.ხის თვალში.

ცხ. ლეგ. წ. არმ. ვლადიმერ ვაშაკიძე.

მოგვეციოთ ძველსაგეგი.

მე-3 ლეგ. 1-ლი ათასეულ. 1-ლი ასეული.

ამ რამოდენიმე ხნის წინად მე-2 ლეგიონიდან გადმოგვგზავნეს მე-3 ლეგიონში რამოდენიმე წითელარმიელი. ზოგიერთებმა ამ ამხანაგებმა მიიღეს საჭირო ტანსაცმელი, ხოლო ზოგიერთებს კი დღესაც არ მიგვიღია და ცუდ მდგომარეობაში ვიმყოფებით. გვიხდება ტატვილი ბატკუნ წოლა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჩვენში დაავადმყოფება. საჭიროა მოგვეცეს ყურადღება ვისგანაც ჯერარს.

წ. არმ. ვასო ჭიკაძე.

მე რა დავაშავე?

მეთაურთა სკოლა.

ვმსახურებდი მეთაურთა გაერთ. სკოლის უმწყობრო გუნდის ზემდგომად. შემდეგ გადაყვანილი ვიქენი სკოლაში კურსანტად. ჩემი საბუთები იმყოფება სკოლის სამნეო გუნდში, რომელსაც უნდა ჩავერიცხე უნტერ-ოფიცრის მეთაურთა სიაში, ბრძანების თანახმ.ד. სხვა ნაწილებიდან მოსული ამხანაგები ჩარიცხეს, მე კი დღესაც არ მეკუთვნა ყურადღება.

ძველი სამნეო ნაწილის გამგე ათასჯერ შემპირდა, მაგრამ ისე დათბოვეს, რომ ეს საქმე არ მოიკვანა. ახალი კი სრულიად უარს მეუბნება. რაშია საქმე, მარტო მე რად უნდა შევდგეგ.დე გამონაკლისს? კარგი იქნება ყურადღებას მიაქცევდეს ამ გარემოებას სკოლის გამგე.

კურსანტი პ. ბერია.

სამხკორთა შენიშვნებიდან

მოგვაცილეთ სანამ დაგვჭამდეს

2-რე ლეგიონი

ლეგიონის მეორე ასეულის თავმა საიდგანღაც მოიყვანა ცხენის ოდენა ძ.ღი და გაუშვა ლეგიონის ეზოში. წითელ არმიელები შიშ.თ ვერ გამოსულან გარედ. ჯერ-ჯერობით ძალლმა ძღერ დაჰკრა ერთი მოხუცებული ქალი, რომელიც ძნელად თუ გადარჩება. კომენდანტმა უნდა მოგვაცილოს ეს ქოფაკი, სანამ ყველას დაგვეპმდეს.

წ. არმ. დაგვიხსენი.

საჭიროა ზომების მიღება

1 ლი ატ.ლეგიონი.

ჩვენს ნაწილში მრავლად არიან გაზაფხულზე გამოწვეული ისეთი არმიელები, რომლებსაც დღესაც არ მიუღიათ მაზარები. ამ ერამდე მათ უხდებათ გარნიზონის საგუშაგოზე გასვლა. ზოგი თავის ამხანაგებიდან ნათხოვრობს მაზარებს, მაგრამ ზოგს კი ისე უხდებათ გასვლა. უკვე აცივდა უმაზაროდ ყარაულზე დგომამ შეიძლება დაავადმყოფოს წ. არმიელები და უფრო ცუდი მოვლენის წინაშე დაგვაყენოს. საჭიროა მიიღონ შესაფერი ზომები მაზარების შესაძ.ნად ნაწილში.

სამხკორი ან—ციი.

სამაგალითო მეთაური.

1 ლი ლეგ. მე-6 ასეული.

ასეულში ორი თვე იქნება მას შემდეგ, რაც გადმოყვანილი იქნა ახალი მეთაური ზოიძე, რომელიც თავიდანვე კარგ დამოკიდებულებაში იმყოფება არმიელებთან. ხშირად, თითქმის ყოველდღიურად ამბ. მოისვამს წ. არმიელებს გვერდში და ეგაესება მათ სხვა და სხვა საინტერესო საკითხებზე. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს წითელი ჯარ.ს მნიშვნელობის გაშუქებას, რაც დიდ სიამოვნებას იწვევს ამხანაგებში. მადლობის ღირსი ამხანაგი ასეთი მოპრყობისათვის.

წ. არმ. სიმართლის მთქმელი.

პლაკატი და ლოზუნგი.

პლაკატს და ლოზუნგს სკოლის გარეშე განათლების დარგში უკავიათ საპატიო ადგილი და წარმოადგენენ მძლავრ იარაღს წითელ არმიელთა გათვითცნობიერების და აღზ.დის საქმეში. ბურჟუაზიული სახელმწიფოები ფართედ იყენებენ მათ თავიანთ მიზნების განსახორციელებლად. საბჭოთა კავშირიც დიდ ყურადღებას აქცევს მათ როგორც აგიტაციო-პროპაგანდის საუკეთესო საშ.ვალებებს. უღირსი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული პლაკატს და ლოზუნგს ჩვენი ჯარის ნაწილებში, რომ ისინი აღწევდნენ თავის მიზანს და არ იყენენ მხოლოდ საგნები კლუბის, ყაზარმ.ს და ლენინის კუთხის დასამშვენებლად. ბევრია დამოკიდებული თვით ამ საქმის ხელმძღვანელებზე, თუ რამდენად აქვთ მათ შეგნებული მნიშვნელობა პლაკატის და ლოზუნგის და რამდენად აქცევენ ყურადღებას მათ შესრულებას.

ეზრი, რომელიც არის გატარებული პლაკატში ან ლოზუნგში არ უნდა იყვეს ადვილად გასაგები და გარკვეულად გამოთქმული, არამედ პლაკატმა და ლოზუნგმა უნდა ჩაფიქროს მაყურებელი, უნდა მისცეს მაყურებელს ერთგვარი ამოცანა. ავიღოთ ასეთი „მაგალითი: პლაკატზე დახატულია სამეურნეო მანქანა, ქვეთ არის შემდეგი წარწერა: „ბელგიაში ერთ დღიურ მიწაზე მოდის 150 ფუთი ხორბალი, საქართველოში—10“ და შემდეგ კითხვა: „მიზეზი?“ უეჭველია ამ გვარი პლაკატი ჩაფიქრებს წითელ არმიელს და გაუღვიძებს სურვილს გაიგოს მიზეზი. ის მიმართავს მეცოდნე პირს საკითხის ასახსნელად, ან მოსძებნის ბიბლიოთეკაში შესაფერ წიგნს. ასე ითქმის სხვა ხასიათის პლაკატებზე.

წარწერები (ტექსტი) უნდა იყვეს მოკლე, შინაარსიანი, უნდა ვერიდოთ მრავალ სიტყვიანობას. ყოველი წარწერა უნდა იყვეს ადვილათ წასაკითხი, შიგ არ უნდა იყვეს არც ერთი „ძნელად გასაგები და უცხო სიტყვა. პლაკატის და ლოზუნგის შესრულების დროს უნდა ყოველთვის მხედველობაში გყავდეს აუდიტორია, რომლისთვისაც ვამზადებთ მათ.

როდესაც ვხატავთ პლაკატს ან ვწერთ ლოზუნგს, უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ სურათი იყვეს ნათელი, დახატული კარგი ფერებით და ადვილად გასარჩევი შორიდან. ლოზუნგი უნდა იქნეს დაწერილი გარკვეულ ასოებით.

ბევრ ნაწილში გამოკიდებულია ისეთი ლოზუნგები, რომ მის გასარკვევად დიდი დროა საჭირო. ასო ასოს არა ჰკვეს, დაწერილია რაღაც არაჩვეულებრივად ტეხილი ხაზებით, ვითომ სილამაზისთვის. ასეთი ლოზუნგი გამოუსადეგარია წითელ არმიელისთვის და არავითარი სარგებლობა მას არ მოაქვს.

უნდა ვერიდოთ აგრეთვე დიდი ფორმატის პლაკატებს და ლოზუნგებს.

სასურველია პატარა ზომის პლაკატები და ლოზუნგები, მხოლოდ შესრულებული ლამაზათ, კოხტათ, გარკვევით და ყველასათვის გასაგებად.

ე. ხუციშვილი.

ჩვენც ვემზადებით.

ცხენოსანი ლეგიონი.

რამოდენიმე ხანია, რაც დამთავრდა ლეგიონიდან გრძელ ვადიან შვებულებაში ამხანაგების გაშვება. დარჩენილ ამხ.ნაგებთან კი სისტემატიურად მიმდინარეობს მეცადინეობა, რომ ლარსეული მომზადებული შეეხვედეთ ახალ წვეულ ამხანაგებს. ლენინის კუთხეები თანდათან ეწყობა და მშვენიერდება. საკლუბო და საბიბლიოთეკო მუშაობა გაკეთებულია. მათი უმთავრესი ყურადღება ახალ წვეულების შეხვედრისათვის სამზადისს აქვს მიქცეული.

წარმოებს აგრეთვე საცხოვრებელი ბინების შეკეთება. ახლად მომავალ ამხ.ნაგებს სრულიად გადასხვაფერებული ვეგებებით.

გაუმარჯოს მათ წითელ ყაზარმაში მოსვლას ტ.ს საქმიანობას.

წ. არმ პ. კახიძე.

ექიმია თუ ფერშალი?

ქალ. ჯანმრთელობის განყ. საყურადღებოთ.

2-რე საკავშირო ასეულში მოვლენილი იყო ფერშალი ვინმე ანდღულაძე. ასეულის ბანაკში ყოფნის დროს ეს ამხ.ნაგი ექიმათ აცნობდა თავს ხალხს. რეცეპტებს ყოველ ღამის ექიმის სახელ წოდებას აწერდა, იმ დროს როდესაც არც ფერშალს სახელ წოდება აქვს მას. ეს აცხანაგი ითის ნაცვლად, რომ ღარიბ გლეხობას დახმარებოდა, ორ-სამ ფუნტნილი სოფლელებს ერთმ.ვდა 3 მან. და 5—6 ქათამს. ოჯახებიდან მოქონდა რძე, კვერცხები, ფუსს კი არ იხდიდა. გლეხებს ხშირად შამოუჩივლიათ ამის გამო. ასეთ ვეტ.ტონს დროა შესაფერად გაუსწორდეს ჯანმრთელობის განყოფილება. მას არა თუ ტერნაწილში, არამედ არც ერთ საბჭოთა დაწესებულებაში არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

ი. ჭოლელი.

პარტიული ცხოვრება

პარტიული კრებები.

მეთაურთა სკოლა.

სკოლაში პარტიული მუშაობა უკვე გაჩაღებულია. მუშაობას მეტი საქმიანობა და სერიოზულობა ეტყობა. კრებაზე დაგვიანების შემთხვევებმაც იკლო... შემოღებულია ახალი საღამოცხელი მართველი—სამარკო ფურცელით. ფურცელი 52 მარკად იყოფა, რომელთაგანაც თითო კრებაზე თითო იხევა და კრების მდივანს ბარდება. სამარკო ფურცელი (მარკა)—პარტიის წევრის წითელია, კანდიდატის—მწვანე. ეს კრებაზე დამსწრეთა აღრიცხვას ძალიან აადვილებს და მუშაობაც მეტად მარტივია. წინად შეიტანავდით, რომ უკეთესის კრებებზე მოხსენების ირგვლივ შეკითხვები და წინადადებები სუსტი და ერთგვარი იყო.

ძალიან ხშირად კრებები ადგენდენ: „რეზოლიუციის გამომუშავება მიენდოს პრეზიდიუმს!“

ეხლა ეს სისუსტე განდევნილია და ნაკლი გამოსწორებული. ყველა კუთხანტები და სხვა ამხანაგები ეხლა მეტ აქტივობას იჩენენ და მუშაობაც უკეთ მიმდინარეობს!

გადახალისებული და ამოძრავებულია ყველა თვითმმართველი ორგანიზაციები, როგორიც არის ავიოიქიმის, რემედასის, ლენკუთხის გამგეობა და სხვა, რომელთაც პარტიული კრება და ბიურო ხელმძღვანელობს.

ხშირად ზოგიერთი ხელმძღვანელი ამხანაგები ან კოლეგიები არაფერს აკეთებენ, მაგრამ გადარჩენის დრო ისევ სტოვებენ, რითაც კრება აუცილებლად შეაკლობაში შედის.

არავითარ შემთხვევაში არაა დასაშვები, რომ ხელახლად არჩეული იქნეს ისეთი ამხანაგი, რწმუნებული, რომელსაც, არაფერი გაუკეთებია.

ამით კრება თავის ნდობას ადაბლებს და სხვა აქტიურ ამხანაგებს საშუალებაც აღარ ეძლევათ თავისი საქმისადმი ერთგულება და გამოცდილება გამოიჩინონ. რომ მომავალში ეს შეცდომა აღარ განმეორდეს, საჭიროა: კრების წევრების კიდევ მეტი აქტივობა და პროზიდიუმის მხოლოდ მასზე ხელმძღვანელობა.

ეს კიდევ უფრო გააჯანსაღებს მუშაობას. 16 ოქტომბერს სკოლის ყველა უჯრედმა განიხილეს და დამტკიცეს ოქტომბრის დღესასწაულის ჩატარებისა და მომავალ მუშაობის საწარმოო გეგმა.

ამის შემდეგ ინტერესითა და განახლებული ძალით შეუდექით: საზოგადოებრივ—მეცნიერების მეცნიერებას, პარტსაკავშირო სკოლის ბუღალტერს (ოთხშაბათ—პარასკევობით) და ლენკუთხის მუშაობის განხილვას.

პარტიული კრებები ჩვენი ზრდის, მუშაობის გამზომი (ბარომეტრი) უნდა იყოს.

ამ გზით და საერთო ძალით უეჭველად დავსძლევთ იმ დიდ ამოცანას, რომელიც პარტიის ყარსულის, აწყოსა და მომავლის შესწავლაში გამოიხატება.

სამხკორი ჩვენი.

მე-2 ლეგ. მეორე უჯრედში.

ჩვენი უჯრედის მუშაობა ბანაკიდან დაბრუნების შემდეგ, ვერ სდგას თავის სიმაღლეზე.

მუშაობას ხელს უშლიდა: წ. არმიელების ქუთაისში გადაყვანა, უვადო შვებულებაში გაშვება და სხვა ძრაკელი.

ახლაც უჯრედის წევრთა რიცხვი მცირეა და ისიც ხშირად გახწესებაში ვიმუშაყებით და კრება, რომელიც დანიშნულია ვერ ეწყობა თავის დროზედ.

ბ. კოლექტივმა ასეთ ბერეს ითმართა: ახალწვეულებამდის რომდესაც უჯრედი ერთათ შეკერთა და მუშაობა ცოტათ გაუძჯობესდა.

ვფლთ ახალწვეულებს, რომ შეიტყოს ჩვენი რიგები და დავიწყოთ პარტ მუშაობა გაერთიანებული ძალ-ღონით, შეკერთოთ სოფლის და ყაზარიის მუშაობა და დავადგეთ გარკვეულ ნაყოფიერ მუშაობას.

პარტკორი ვ. ლ.

ახალი ამბები.

— ავიაქიმის კურსები. საქ. ავიაქიმმა დაადგინა დაარსოს ავიაქიმის მუშაკთა მოსამზადებელი ორ თვიანი კურსები. კურსებზე თითო მაზრიდან გამოგზავნილი იქნება ორ-ორი კაცი.

— „წითელი აჭარისტანი.“ აჭარის ავიაქიმმა შეიტანა საქ. ავიაქიმში 3 ათასი მანეთი მაიროპლან „წითელი აჭარისტანის“ შესაძენათ.

— ბრძოლა უმუშევრობასთან. ტფილისის შრომის კოლექტივებში ამჟამად მუშაობს 500 უმუშევარი.

— მოწამვლის შემთხვევა. ჯანსახკომმა შეიმუშავა სახელმძღვანელო წიგნი მოწამლულთათვის აფთიაქებში პირველი დახმარების აღმოჩენის შესახებ.

— მეფუტკრეობისათვის. მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატი გლეხ მეფუტკრეებისათვის ამზადებს 5.000 ცალ ფუტკრის სადგომს.

— საქონელი საზღვარ-გარეთიდან. მარსელიდან ბათომში ა. კ. სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატმა მიიღო 13.475 კილო სხვა და სხვ საქონელი.

— პარკის გატანა. სახელმწიფო ვაჭრობის ბათომის განყოფილებამ საზღვარ-გარეთ გასასაღებლათ გაიტანა 20 ათასი ფუთი აბრეშუმის პარკი.

— სასოფლო მეურნეობის დახმარების მიზნით, მიწ.-მოქ. კომისარიატს ამჟამად მოწყობილი აქვს 62 გამქირავებელი პუნქტი.

— სოც. უზრ. კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა სამხედრო უწყების წინაშე უწ. ყებისათვის 18 გამოუსადეგარი ცხენის დათმობის შესახებ მაზრებში ინსტრუქტორების საჭიროებისათვის.

პასუხი შეკითხვებზე

კითხვა. მე მიეჩერავს ოთახი მე-7 უბანში, გურჯაანის ქ. № 1, ზომით 42 კვ. არშინი. ცხოვრობენ ჩემი დედ-მამა. სახლის პატრონი მთხოვს თვეში შვიდ მანეთს. გთხოვთ მიპასუხოთ რამდენი უნდა ვიხადო ბინის ქირა?

წითელ არმიელი **ერვანდ დემეზროვი.**

პასუხი. თანახმად საკავშირო ცაკის დადგენილებისა № 197, სამხედრო მოსამსახურენი იხდიან ისე, როგორც დაწესებულებების და წარმოებების მუშა-მოსამსახურენი. თანახმად აღმასკომის დადგენილებისა, 1 მარტიდან 1925 წ. თვეში თითეულ კვადრატიულ არშინში იხდით ერთ კაპეიკს, ე. ი. 42 კაპიკს თვეში, ამას უნდა მოაკლდეს 25 პროცენტი, როგორც სამხედრო მოსამსახურე. ამას გარდა აღმასკომს შეუძლია სრულებით გაგანთავისუფლოს ბინის ქირიდან, როგორც წ. არმიელი. თქვენ იხდით ბინის ქირად 25 პროც. გამოკლებით 32 კაპ.

კითხვა. სახლში მყავს დატოვებული 7 სული სარჩენი. ვის უნდა მივმართო დახმარებისათვის?

წ. ა. **გომელი.**

პასუხი. მიმართეთ აღმასკომს.

კითხვა. მე ვარ ზენკალის თანაშემწე. მინდა რკინის გზის მთ. სახელოსნოში შესვლა. ვის უნდა მივმართო?

წ. ა. **ხ—რი.**

პასუხი. სამსახურის გათავების შემდეგ უნდა მიმართოდ სახელოსნოს აღმინისტრაციას, თუ თავისუფალი ადგილი არის პირველ რიგში უნდა მიგიღონ, როგორც წ. არმიელი.

კითხვა. ერთი თვის შვებულება მომეცემა თუ არა ოჯახის საქმეების მოსაგვარებლად?

წ. ა. —**რი.**

პასუხი. წაიკითხეთ რეგულაციის ბრძანება № 821—24 წ.

კითხვა. ვარ კავშირის წევრი 1923 წ. არ მაქვს მანდატი. ვის უნდა მივმართო მანდატისათვის?

კურს. **ყ—შვილი.**

პასუხი. მიმართეთ თქვენს კავშირს.

კითხვა. მოგვეცემა თუ არა ტანსაცმელი იმ წითელ არმიელებს, რომლებიც ვთავისუფლდებით მეორე რიგში?

წ. **არმიელები.**

პასუხი. მოგეცემათ საერთო წესით.

კითხვა. ჩვენ რომლებიც მივდივართ მეორე რიგში უვადოშვებულებაში გვეკუთვნის თუ არა სრული ჯამაგირი?

ტერლეგიონის ათეულის მეთაური **პაპუაშვილი.**

პასუხი. თანახმად კ. წ. დ. არმიის ბრძანებისა № 375 თქვენ დაბრუნილი იქნებით მეორე რიგში და როგორც ასეთს ზედმეტი ჯამაგირი არ გერგებათ.

კითხვა. წ. ა. რომლებმაც დაყვეს წ. ჯარში ერთი წელი ეკუთვნით თუ არა შვებულება და სამგზავრო ლიტერი?

ჩხარტიშვილი.

პასუხი. ნახეთ რეგულაციის ბრძანება № 821—24 წ.

კითხვა. მეორე რიგში მიმავალ წ. ა. მოგვეცემა თუ არა ფეხსაცმელები, რომლებიც დაგვეხა?

წ. **არმიელები.**

პასუხი. მოგეცემათ საერთო წესით.

კითხვა. ზედმეტი მუშაობისათვის სამხედრო მოსამსახურეებს მოგვეცემა თუ არა ზედმეტი ფასი?

ლ. **მ—ძე.**

პასუხი. არა.

კითხვა. რამდენ ხანს შეუძლია უვადოშვებულებაში წასულმა წ. ა. ატაროს სამხედრო ტანისამოსი?

ბარათაშვილი.

პასუხი. ვიდრე არ გაცვდება ნაწილში მიღებული ტანისამოსი.

კითხვა. არ მიმიღია მაზარა და ხალათი. მალე წავალ უვადო შვებულებაში. მომეცემა თუ არა ესენი?

ფ—**ძე.**

პასუხი. მოგეცემათ ნახმარი, ვარგისი.

კითხვა. თავის სურვილით შესულს უნ�ოფიცრის მეთაურს (ათის თავს) მიეცემა თუ არა საოჯახო ულუფის ფული?

ხეთელი.

პასუხი. საოჯახო ფული ეძლევა მწყობრის თავიდან ზევით და ზედმეტ მსახურებს, რომლებმაც სავალდებულო სამსახური შეასრულეს და შემდეგ დარჩენ.

კითხვა. მინდა შესვლა საბუღალტერო კურსებზე. ვის უნდა მივმართო, რომ ხწავლის ფული არ გადამახდევინონ?

წ. ა. ფ. **ლ.**

პასუხი. მიმართეთ საბჭოთა სავაჭრო მოსამსახურეთა კავშირს, რომელიც ეკიდეოდის ქ. ხსნის კურსებს, შეიძლება სწავლის ფულიდან გგანთავისუფლონ.

კითხვა. სახლში მყავდა ოჯახის მარჩენელი ძმა, რომელიც მომიკვდა. ოჯახი დარჩა უპატრონოთ. სარჩენია რამოდენიმე სული. ვის უნდა მივმართო დახმარებისათვის?

დეიხაძე.

პასუხი. მიმართეთ აღმასკომს.

უცხო სიტყვათა ახსნა.

ინიციატორი—მოთავე, საქმის დამწყები.

ავტორიტეტი—ნდობით აღჭურვილი, ამა თუ იმ დარგის ცოდნით აღჭურვილი.

კონკრეტულად—არა ბურუსით, არამედ გარკვევით საკითხის დასმა.

სოლიდარობა—ერთსულოვნება საქმეში ან მიზნებში.

წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო, გაზ. „წითელ არმიელის“ № 217-ში მოთავსებული იყო ამხ. ბურჭულაძის პასუხი ჩემს წერილზე, სადაც მას სურს უარყოს ჩემი მისადმი წაყენებული ბრალდება. მე მინც ვერ მაკმაყოფილებს მისი პასუხი და სამართლის აღსადგენად ვიწვევ მას ამხანაგურ სასამართლოში. ჩემი მხრივ სასამართლოში ვასახელებ შემდეგ წითელ არმიელებს: თ. ნიკოლეიშვილს, ა. ჩხეიძეს, შ. სურგულაძეს და დვალიშვილს. სასამართლოს სხდომის დროსა და ადგილის დანიშვნას ვანდობ ამხ. ბურჭულაძეს.

სამხკორი **დ—ი.**

ჩვენი ფოსტა.

წ-თე ტერლეგიონის ტყვიამფრქვევ ასეულის უფროსს. რედაქცია გთხოვთ სიჩქარეზე გვაცნობოთ თქვენს ასეულში მსახურობდა თუ არა ვინმე ცვლილებადელი, ტერ-არმიელი ივ. ბალარჯიშვილი.

ამხ. ნადირაძეს (2 რე ტერარტლეგიონი) **და ტარიელაშვილს** შამოიარეთ რედაქციაში.

ამხ. ხ. ქ ნდაურიშვილს (მე-2 არტლეგ.) თქვენი კორესპონდენცია: „შვებული წითელ არმიელის მოვალეობა სოფლად“ დაგვიანებულია. არ გავ.

ამხ. მებრძოლ-მესუფთავეს (პირვ. ლეგ.) წერილი სამზარეულოს შესახებ გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთისათვის.

ამხ. ამხ. ანავას (სამხედრო სკოლი) **და ხარაზაშვილს** (მე 6 ლეგ.) თქვენი წერილები: „ჩამოვლენ კურსანტები“ და „მეექვსე ლეგ. სამნეო გუნდი“ არ დაიბეჭდება. დაგვიანებულია.

ამხ. ამხ. შევხიდეს (მე-3 ლეგ.), **სრეფეს** (1-ლი საკავშირო), **გაგუას** (ქეთაურთა სკოლა) **და ო—26** (მე-5 ლეგ), თქვენი კორესპონდენციები: „კარგი იქნებოდა“, „ექვიმო მოგვეცით წამალი“, ლექსი „არ გვეშინია“ **და** „მიაქციეთ ყურადღება“ არ გამოგვადგა.

ამხ. ლ. ბელ ძეს **და სამნეოს** (მე 4 ლეგ.), თქვენი წერილები „გორიდან ზესტაფონამდის“ **და** „**სამნეო ასეული**“ არ დაიბეჭდება, რადგან ასეთი ხასიათის წერილები იყო ჩვენს გაზეთში.

ამხ. ყანდაურაშვილს. თქვენი წერილი „13 ოქტომბერი“ გიუგებარია.

ამხ. ლექსოს (მე-6 ლეგ.), კორესპონდენცია „მე-6 ლეგ. საკავშირო გუნდი“, დაგვიანებულია.

ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-2 ქართ. მსრ. ლეგიონის მე-8 ასეულის, მე-8 კომუჯრედში შემოტანილია განცხადებები კომპარტიის კანდიდატების, კომპარტიის წევრად გადარჩენის შესახებ ამავე ასეულის მეთაურის ამხ. ივანე კონსტანტინეს ძე ოქროპირიძის და ამავე ლეგიონის კლუბის უფროსის ამხ. ქალიაშვილისაგან. გთხოვთ თუ ვინმეს აქვს რაიმე მათ საწინააღმდეგო, გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

მე-8 ასეულის კომუჯრედის მდივანი ცინცაძე.

დროებითი რედაქტორი მ. სიმონგულოვი.